



გაზეთი „საქართველო“ ღირს

თვიურად 7.000.000 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.

რედაქცია და კანტორა: თბილისი, სახანლოს ქუჩა, № 6

ტელეფონი 10-84.

განცხადების ფაქტი

1 გვ. 20 კპ. ჩვენი ნომერი... 4 „ 15 „... 1 გვ. 1 ლ. 50 „... 4 „ 1 8 -

მთავარი კომისიის ოფისი

№ 628 პარასკევი, ნოემბრის 23, 1923 წ.

უკვლავლი გზით

ფასი 500,000

რევოლუციური რაზმის გალიერება

კომპარტიის გალიერება რევოლუციის გალიერება... რამდენადაც მტკიცე, ძლიერი და მრავალრიცხოვანი კომპარტიის რიგები, იმდენად მტკიცე და ძლიერი რევოლუციის ნაკადი.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. კომპარტიის გალიერება ხდება იმ პარტიის ხარჯზე, რომელიც მუშათა კლასის სახელით ლაპარაკობს. უდიდესი მტერი კი რევოლუციონერ მოძრაობის მარტო ბურჟუაზია კი არ არის, არამედ ის „სოციალისტური პარტიები“, რომელიც სოციალისტურ პარტიას ატარებენ და კაპიტალიზმის საქმეს ემსახურებიან მთელი თავისი შეგნებითა და ძალ ღონით.

ასეთი პარტია უმთავრესად მენშევიკური პარტიაა. ამიტომ მენშევიზმის დაცემის პირდაპირ პროპორციული რეაქციონერი ფორმის შესესტება.

მენშევიზმის დაცემა ხდება მუშათა კლასის რევოლუციონერი განწყობილების გამო, რევოლუციონერი ელემენტები კი კომპარტიის უერთდება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტები ხდება გერმანეთში. გერმანეთის სოციალდემოკრატია, რომელმაც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მრავალი ვადაჯუფებანი განიცადა, დღეს დაცემის, დამლის და განადგურების პერიოდში იმყოფება.

ბურჟუაზიასთან განუყოფელი შეთანხმებამ, მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებამ, წითელი რევოლუციის ტერიტორიის მიმართ რეაქციონერი პოლიტიკის გამართლებამ და შტრეზმანთან უერთგულებამ, თანამშრომლობამ გამოიწვია სოციალ დემოკრატიული პარტიისაგან მუშების მასიური დენა კომპარტიისაკენ.

ამ ორივედ წლის წინად გერმანიის კომპარტია ვაცლებით სუსტ ძალას წარმოადგენდა ვიდრე დღეს. მისი ძლიერება იზრდება სოციალ-დემოკრატიის დაცემის გამო.

როგორც უკანასკნელი დებულები გვაუწყებს, ბრეშენის მუნიციპალიტეტის არჩევნებში ხმის უმ-

რავლესობა კომუნისტებმა მიიღეს. საქსონიაში სოციალ-დემოკრატიის 60 წევრი კომპარტიაში გადავიდა.

როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ფრთა სოციალ დემოკრატიისა გადაშენების გზაზე არის შემდგარი. ეს მით უფრო მეტი სისწრაფით ხდება, რომ იმის დროს სოციალ დემოკრატიის სამხედრო პოლიტიკამ პარტიას ჩამოაშორა მუშური ელემენტების საგრძნობი ნაწილი და სამაგიეროდ იგი წერილი ბურჟუაზიული ელემენტებით გაზარდა წეროლ-ბურჟუაზიული ელემენტები კი გამწვავებულ სამოქალაქო ომის დროს, როგორსაც ეხლა ადგილი აქვს გერმანეთში, ვერ იჩენს გარკვეულ პოზიციას, იგი თავისი სოციალური ბუნებით მერყევი და გაუკვეყელია. ამიტომ სოციალ-დემოკრატია დღეს არც წმინდა ბურჟუაზიული პარტიაა თავისი პოლიტიკით.

ბურჟუაზიული პოლიტიკის გამო მუშები მას შორდება, ამავე პოლიტიკის წყალობით წერილი ბურჟუაზიის ფენები ბურჟუაზიული კლასის სამსახურში არიან ჩაბმული. აქედან ლოდიკურად სოციალ-დემოკრატიის უკველი სიკვდილი ელის. მისი არსებობა დღით-დღე ამ სასიკვდილო აგონიის განახლებების პროცესშია და არა მისი გაჯანმრთელებისა და სიცოცხლის.

სოციალური წინააღმდეგობანი, სამოქალაქო ომის სტეგია აძლიერებს რეაქციონერ ძალებს— ფაშისტებს, ხოლო მეორე მხრით იგი აძლიერებს მის საწინააღმდეგო რევოლუციონერ ძალებს— კომუნისტებს.

ყოველი ახალი დღე გერმანეთში კომპარტიის გალიერების დღეც არის. ეს მენშევიზმის დასაბრუნების ნათელყოფაა. მენშევიზმი ჩამოშორდება გერმანეთის ცხოვრებას, როგორც ის ჩამოშორდა რუსეთისას, ეს კი უტყუარი თავდებია გერმანეთის ოქტომბრის დღეებთან მისალოდებისა.

კომპარტიის რიგები იზრდება ევროპაში. ძლიერდება მსოფლიო რევოლუციის ძალები.

ნორმალური მსოფლიო

ისტორიის სივრცეზედ მრავალგვარი პოლიტიკური კომპინაციები იხილართება. რაც ერთ ეპოქაში ანორალურად არის მიჩნეული, იგი მეორე ეპოქაში ნორმალურ მოვლენათ ითვლება.

ამ ათიოდე წლის წინად არავის შეეძლო ნორმალურად მიეჩნია კაცობრიობის ერთ მეექვსედზედ მშრომელთა ბატონობის განმტკიცება.

დღეს ეს იმდენად ნორმალური ფაქტია, რომ მას სტრუქტურული ვისაც ცნობიერება არ დაკარგვია, ან ვისთვის მისი ცნობა სიკვდილს არ უდღრის.

ასეთივე ანორმალობით დასახვდა ამ 5-6 წლის პარტიების დაშლის მოლოდინს უმრავლესობა, მაგრამ ეს უჩვეულო და მეტად მრავალმეტყველი ფაქტი ნორმალური მოვლენაა.

დღეს საკვირველი ის კი არ არის რომ სოციალისტურ პარტიაშია წიაღში განხეთქილებანი ხდება, ნაწილი მიეჭანება მარჯვით კაპიტალს ფრონტის გასამარგებლად, ხოლო ნაწილი მარცხნივ შრომის პოზიციების დასაცავად, არამედ საკვირველი ის იქნებოდა, რომ ეს ასე არ ხდებოდა.

ევროპაში კომუნისტური პარტიები წარმოიშვა სოციალისტური პარტიისაგან. გერმანეთის კომუნისტური პარტია ნაშობია, სოც.-დემოკრატიული პარტიის იმ ფრთით, რომელიც ყოველთვის ამხედრებული იყო პარტიის ოპორტუნისტული და უფრომისტიკული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ფრთის სათავეში უდგა კ. ცეტკინა რ. ლიუქსენბურგი, კ. ლიბკნეხტი, ფ. ბერინგი და სხ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია საფრანგეთის სოციალისტური პარტიიდან გამოვიდა. კამენისა და ფრონარის ფრთა სოციალისტურ პარტიაში ამარჯუებს რენოდელისა და შლიუმის ფრთას და აარსებს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას.

იტალიის კომუნისტური პარტია იტალიის სოციალისტური პარტიის წიაღიდან წარმოიშვა. ბოლომდე ყრილობაზედ (1919 წ.) სერატის გვერდი იმარჯუებს და სოციალისტური პარტია იქმნება კომუნისტურ ინტერნაციონალს, ხოლო შემდეგ პარტიაში რეფორმისტების მუშაობისა და სერატის მიერ კომინტერნის წესდების 21 მუხლის უღებლობის გამო, ლიფორნის ყრილობაზედ იტალიის სოციალისტურ პარტიას შორდება უმცირესობა ბოლშევის ხელმძღვანელობით და აარსებს იტალიის კომ. პარტიას.

რუსეთშიაც მთელ რიგ მიმართულებად იშვა ესერების პარტია. ცალკალკე აღებული მემარცხენე და მემარცხენე კიდევ იშლებიან რამდენიმე შტატებათ, ჯგუფებათ, მიმართულებათ, რომ-

მელთა შორის უკიდურესი მემარჯვენენი კადეტებს უკავშირდებიან, ხოლო უკიდურესი მემარცხენენი, რომელნიც მემარცხენე ესერებს გამოეყა „ხალხოსნური კომუნისტების“ სიხელწოდებით შემდეგ შერთდება კომუნისტებს.

მგზავსი პროცესი ხდება ანარქისტებშიც. ისინიც მთელ რიგ მიმართულებად იყოფა უკანაურჯუესაც კი წარმოიშობს ეს უსაზღვრო დანაწილებანი ბიო-კომუნისტების სახით, რომელნიც ანარქისტების დაპყრების ცდის ნაცვლად პლანეტების გახალგაზრდავების შესახებ სწერენ. ანარქისტების ნაწილი კი კომუნისტურ პარტიას უერთდება.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ მრავალი ფაქტების გადმოვაცხადო, მაგრამ ამ უმად არ ვისახეთ მიზნად ამ პროცესის შესახებ ვრცელ მიმოხილვის დაწერას შემდეგ ჩვენ შევეცდებით უფრო ვრცლად ამ თემის ირგვლივ საუბარს, ეხლა ვიტყვი მხოლოდ, რომ ის აქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს პარტიაში სრულიად ნორმალური აქტია, რომლის მსგავსი მოვლენები მრავალ მოიპოვება ევროპისა და რუსეთის პოლიტიკურ პარტიის სახით ცხოვრებაში.

ამს გ. ზინოვიევი გვეუბნება, რომ „ჩვენი პარტიის დროშის ქვეშ თავს იყობს ყველა საუკეთესო რევოლუციონერი პროლეტარული ელემენტები“.

ეს სრული ჭეშმარიტებაა. 1919 წ. შევიდა რ. კ. 3. 50 პროც. მისი დღევანდელი შემადგენლობის ეს ახალი ძალები არიან ის „რევოლუციონერი-პროლეტარული ელემენტები“, რომელნიც მოიპოვებოდა წეროლ ბურჟუაზიულ მენშევიკურ, ესერულ და ანარქისტულ მიმართულებებში.

სალი, ჭეშმარიტი რევოლუციონერი და პროლეტარული ძალების კონსოლიდაციამ, კომპარტიის რიგებში მათმა მუშაობამ გამოიღო დიდი დადებითი ნაყოფი. არსებითად ამ ახალი ნაკადის შედგენის რ. კ. 3. მთელი ნახევარი.

ჩვენშიაც, მემარცხენე სოც.-დემოკრატთა პარტია წარმოადგენდა და წარმოადგენს იმ ცოცხალ, რევოლუციონერ ელემენტთა კადრს, რომელიც წინეთ იყო სოციალ-დემოკრატთა პარტიაში. მემარცხენე ფრთის სახით დღეს კი ეს ელემენტები, მგზავსად სხვა ამ ხარისხისა და სახის ელემენტებისა, უერთდება კომუნისტური პარტიის რიგებს.

რა თქმა უნდა ადვილი საქმე არ არის კომუნისტური პარტიის რაზმში ჩადგომა. მთელი სიმძიმე სახელმწიფოებრივი მუშაობის კომუნისტური პარტიის წევრთა ბურჯზედ გადადის და უნდა გადადიოდეს კიდევ.

ამს გ. ზინოვიევი ამბობს „საბჭოები—ტანი, ხოლო პარტია—თავი“. ამიტომაც არის, რომ

ყველა რეაქციონერი და შავრაველი სწორედ ამ თავს უნდნებს მომართულ თავს, რომ ამით უკეთ დასცეს საბჭოთა ხელისუფლება. ამავე წერტილში სცემს მთელი იმპერიალისტური სამყარო, რომელიც ბოლშევის მილიტარიზაციის არცერთმა სამხედრო კრიზისის დროს, რომ ამით, როგორმე განაცხადებს „რუსეთის ყაჩაღების“ მიერ გამტკიცებულ წესწყობილებას.

ამდენათვე კომუნისტური პარტიის რიგებში ჩადგომისათვის საქარაა დიდი ენერჯია, დიდი თავდადება, დიდი სიყვარული რევოლუციონერული საქმის.

ჩვენ ამხანაგებია, როგორც აღნიშნულიც იყო ამას წინეთ ამს. თედოს მიერ, უკვე საქმაოდ გამოცდილნი არიან ამ მხრივ.



„საქარა შემდეგი ნაბიჯი“

ამ სათაურით დაბეჭდილია მოწინავე გახ „მუშის“ მე-304 №-ში მოგვეყვს წერილი საესებით.

„ამასწინეთ—დიდი ხანი არ გასულა მას უკან, რაც ეს მოხდა, ჩვენში დიდი მითქმა-მოთქმა და აქა-იქ ბნელ-კედელ-ყურეში ბოროტი გესლიანი ფურჭნი იყო გამართული.

რა მოხდა, რამ აამხედრა, რამ გაამწარა ეს ხალხი?

მოხდა ის, რაც ჩვენ მოუცლელობის გამო დროებით მიტოვებულ გვექონდა,—სახამართლოში შევიტანეთ ჩვენებური რევოლუციონერი რკინის ცოცხი და ძველი მოსამხატრენი ნაგავს გაგვყოფით გარეთ.

— როგორ შეიძლება ასეთი თავხედობა, ასეთი სიბრყევე, სასამართლოდან ძველი მოსამართლეები დაითხოვეს.

ვინ უნდა დაჯდეს მათ ალაგას? — მუშები? — მერე ვინ ასწავლა მათ კანონები? — წერა კითხვის უკონდინარი ხალხი უნდა დავეჯდეს მოსამართლეთ, მათ ხერი. ანათ ხელის მოწერაც არ იცია და სხვ.

ვინ მოსთვლის რამდენი და როგორი სიტყვები არ დაიხარჯა ამ „თავხედობის“ შესამკობლად.

გავრდა დრო „ლუქმა დაკარგულ“ მოსამსახურებში ზოგი ბირჯაში ჩაეწერა, ზოგმა „თავისუფალი“ ვეჭიროდა დაიწყო, ზოგმა საბჭოთა დაწესებულებებში შეაფარა თავი.

სამკედრულიდან და სახაზოდან გამოსული მოსამართლეები კი მაგრათ დაჯდენ მოსამართლის სავარქელში და შეუდგენ საქმიანობას.

ვინ დამალავს ახალი საქმე ძნელია, შეიძლება ამ „გამოუცდელ“ და „წერა-კითხვის“ უკონდინარ ხალხში ერთი-ორს თითო-ორი „მარცხი“ იქნებ დასტურ დემართათ, მაგრამ ვერავინ ვერ მოიყვანს იმის დამამტკიცებელ საბუჯს, რომ ახალი მოსამართლეები თავის საქმეს ვერ წაძლოდდენ წესიერათა და ღირსეულათ.

დღეს ჩვენ მოსამართლეებში ვვლარ ნახათ ისეთ „კანონის მცოდნე“ მსაჯულს, რომელმაც გგონი ამ ერთი წლის წიათ გორის მაზრაში, გლესს ბატონის სასარგებლოდ ვლის ვადახდა გადაუწყვიტა.

ახალი მოსამართლე, მართალია, ნაკლები მწიგნობარი შეიძლება იყოს, მაგრამ მას კარგათ აქვს წაკითხული და შესწავლილი ის ერთადერთი წიგნი, რომელიც არავის არ დაუწყვია და არც ერთ სტამბაში არ დაბეჭდილია.

მან კარგათ იცის ცხოვრების წიწგნის შინაარსი.

ნაღი-დავალება

(„ზაკროსტას“ ცნობები 22 ნოემბრიდან). — დიუსელდორფში უმუშევართა მოძრაობა იზრდება. — გერმანეთისათვის უცხოეთის სენზის მიცემის საქმე წარმატებით მიმდინარეობს. — საკონტრიბუციო კომისია მოუსმენს გერმანეთის წარმომადგენელს. — შტრეზმანის დაცემას რეისტაგის კულუარებში აუცილებლად სთვლიან. — სილეზიაში მოსალოდნელია გაფიცვა.

ჩვენს ყრილობა მთელი თავისი შეგნებით გრძნობდა და მეტყველებდა, რომ ჩვენი მივდივართ მეტად დიდი საპასუხისმგებლო პოზიციების გასამარგებლად, რომელიც მოითხოვს ჩვენგან სიცოცხლესაც კი, მაგრამ ერთი ჭეშმარიტება ჩვენთვის კატეგორიულად სავალდებულოა მხოლოდ იმ რევოლუციონერ მოძრაობას შეუძლია სოციალური და ნაციონალური ანტაგონიზმის ლიკვიდაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს კომინტერნი. ამ ბრძოლაში კი, რომელიც მთელი სიმძიმით ჯერ კიდევ წინა გვაქვს გასავლელი, ან გამარჯვებას მივახწევთ ან და პარიზის კომუნარების ბედს ვავიზიარებთ. სერ. ამ. ლლობელი.

ახალმა მოსამართლემ კარგათ იცის ცხოვრების ამბავი.

იცის და თავის ზურგზე აქვს გამოცდილი, თუ როგორ სჩაგრავდა ღარიბს მდიდარი, ეძღუტის ძლიერი.

იცის ეს და დღეს ლამაზათ გამოწყობილ ადვოკატების სხაპა-სხუპით გატყორცნილი სიტყვებით მას მხარს ვერ მოუქცევ, სამართალს ვერ გააბრუნდებენ.

ტყვილა დასტირანი. პატენტისანი „იურისტები“ „დაკარგულს სამოხესს!“

ძველი დრო აღარ მობრუნდება. ყვეთელი თითების ჯაჭვით შემკული მოსამართლეები აწ-ალარ დასჭირდება ჩვენ მშრომელთა ხელისუფლების მქონე ქვეყანას.

ვერ არის კარგათ მოწყობილი მხოლოდ ის, რომ ახალ სასამართლოში ჯერ კიდევ აქვთ შესავალი ძველ დიპლომათ ადვოკატებს.

თუ ვინმეა მათში ისეთი, რომლებსაც შეუძლია ვაიგოს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების კანონების სული და გული—ყეთილი და პატიოსანი, ვინ დაუშლის მათ სასამართლოში გამოსვლას.

მაგრამ ბევრია ასეთი თეთრი ყორანი ძველ ვეჭილებში?

მეკვება, რომ მათ ჩამოსათვლელათ ცალი ხელის თითების მეტი დასჭირდეს.

დანარჩენები კი, ძველი ჭკუით ძველი წებით მომუშავე ხალხია.

— ფლის გლმისთვის ვეჭილი ეშვას გამოვსარჩლებო, იტყოდენ ხოლმე ჩვენში.

და მართლაც, თუნდა ეხლა, უნდა გაყურებიათ, რა თავგამოდებით იტყვენ ეს დაქირავებული ოქროპირები მტყუნასა და მართალს!

აქ სუყველაფერი ფულისა და ანგარიშის საქმეა.

მეტს მისცემ, მეტს იქაქანებს ნაკლებს მისცემ და ნაკლებათ გამოიდებს თავს, გააძლებ ფულით და თან გადაგყვება.

ჩვენი ვალა მართმსაჯულების ამ მხარესაც მივაქციეთ ყურადღება.

ჩვენ მუშა მოსამართლეებს მუშა ვეჭილები უნდა ამოუყენოთ გვერდით.

ჩვენ სასამართლოში ვეჭილი მსაჯულის მომხმარე, მისი საქმის მონაწილე უნდა იყოს ის უნდა ეცადოს ხიზართლის გამოკვებას და არა მინცა და მინც მტყუნის გამართლებას.

ძველ ვეჭილებს ამ უნარს ვერ მისცემ, ამ ჭკუით ვერ იმუშავენ.

ჩვენ დაუწყეთ სასამართლოს გამომრთლება, ერთი ნაბიჯი უკვე გადავდგით, საქარა მეორეც.

— ინგლის-საფრანგეთს შორის შესაძლებელია უთანხმოება.

— ელჩთა კონფერენციაზედ საფრანგეთი დათმობაზედ მიდის.

— ბავარიის სახალხო პარტია მოითხოვს ვეიმარის კონატიტუციის გადახილვას. — ოკუპანტებმა აღკრძალეს ოკუპაცია ქმნილ ოლქებიდან ნახარის გატანა. — მთავრობის წესები რეისტაგში წესიერების დასაცავად.

სხენებულ ასპარეზზე მოღვაწეობს და განსაკვირვებელია მისი ენერჯია ამ ასპარეზზე მუშაობის სიგრძეზე. არ ახსოვს არავის, ვისაც ჰქონია ბედნიერება მისი შეიკრძობის, რომ პეტრეს ერთი წუთი მაინც, დეკარტის მთელი სამოსწავლო წლის განმავლობაში. ხედავთ: სასწავლებელში არც მოწაფეა და არც მასწავლებელი ჯერ მისული, მხოლოდ პეტრე უკვე მისულია და მისთვის ფრიად სასიამოვნო მუშაობის დაწყების მოლოდინშია.

საკვირვებელი ის არის, რომ იმდენად უყვარს პეტრეს ეს სამუშაო, რომ მიუხედავად მოხუცებულობის ამ ეპოქადაც აღნიშნული ენერჯითა და სიყვარულით მუშაობს.

მე არ მგონია ისეთი ქართველი მოიპოვებოდეს, რომელსაც ეჭვი შეეპაროს პეტრეს დიად მოღვაწეობაში და არ იყოს დაინტერესებული მისი პატივისცემაში.

ა. ბიჭიაშვილი.

ბიჭიაშვილი

— **ქიანჭველას საოცარი თავგადასავალი.** ო. სკვორცოვისა, თარგმანი კოკისა. ტფილისი, 1922 წ. 100 გვ.

— **ბ. ვაშლის.** გ. ქუჩიშვილის ლექსები. ტფილისი, 1922 წ. 32 გვ. ორივე წიგნაკი ეკუთვნის სახელმწიფო გამომცემლობას.

„ქიანჭველას საოცარი თავგადასავალი“ აწერია რილია ქიანჭველების საზოგადოებრივი ცხოვრება ამ წიგნაკის საშუალებით ბავშვი გაეცნობა ქიანჭველების განვითარებას, მათ აღზრდა-ვანებთარებას, შრომის განაწილებას ერთმანეთ შორის, ყოველდღიურ შესვენებულ მუშაობას, მათ საცხოვრებელ ბინა ქალაქებს, ომებს, თავისებურ მეურნეობას და ერთი სიტყვით ყველა თვალსაჩინო და საინტერესო მხარეებს ამ პაწაწა მწერებისა, რომელთა სოციალური ცხოვრება და წესები ბევრში წააგავს ადამიანთა ცხოვრებას და ბევრში წააგავს. დიდის ინტერესით წაიკითხავენ ბავშვები, რომ ქიანჭველებს ძროხებიც ჰყავთ, ყანებიცა აქვთ და ბოსტნებიც. ყოველივე ამის ქიანჭველები ისე უვლიან და ისე ზრუნავენ მათზე, როგორც ადამიანები.

წიგნი მით უფრო საინტერესო საკითხავია, რომ წარმოადგენს არა მხოლოდ მოთხრობას ქიანჭველების ცხოვრებაზე, არამედ თვით ქიანჭველას მიერ მოყოლილ თავგადასავალს, სადაც მამკმედ პირებდა გამოყვანილია თვით ქიანჭველები. აწერია ბევრი საინტერესო სცენები. ენაც საკმაოდ ცოცხალი და მარტივია.

საწიფხარად გამოცემის მხატვრული მხარე ვერა და მამკმაყოფილებელი. შრიფტი კარგია და შესაფერი, მაგრამ ისევე არ ითქმის ქალაქზე. სურათები კი ძალიან ცუდია, ზოგერთი მინც ერთი სურათი კი მე-34 გვერდზე თადა; ირია მოთავსებული, მაგრამ ამას ვერც კი შენიშნავთ, ისე ბუნდოვანია თვით სურათი. რა აზრი აქვს ასეთი სურათის მოთავსებას, თუ თავსა და ბოლოს ვერ გაართმევს კაცი?

ასეთი ტენიკური დფექტი პირველად არ გვხვდება სახელმწიფო გამომცემლობის საყმაწვილო წიგნებში. ერთხელ მე ეს აღნიშნე და სამწუხაროდ მეორეჯერ მოხდება ამანდნ მითითება. მით უფრო გაუგებარია ასეთი მოვლენა, რომ სახელმწიფო გამომცემლობა ჯეროვან ყურადღებას აქცევს წიგნების გარეგან და მხატვრულ მხარეს.

„ბავშვებს“ — გ. ქუჩიშვილის ლექსები — სამაგიეროდ კობტა და ლაბაზი გამოცემა. წიგნაკში მოთავსებულია სულ 22 ლექსი; ზოგ მათგანს ტექსტა ნაძალადივობა, მაგრამ ბავშვისადმი სიყვარული გამოსჭვივის ყოველ სტრიქონში. კარგებია „პაწაწა მეგობრები“, „ბიჭუკოს ბარათი“ და „ცოლას წერილი“. ამ წიგნაკს უსათუოდ სიამოვნებით წაიკითხავენ ჩვენი ბავშვები და ავტორს შეიყვარებენ.

ა. ბ.

ცოტა რამ სახალხო განათლების შესახებ

სახალხო განათლების საკითხი სასურველად იჭრება; ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ეტყობა ძალიან წინსვლა და პროგრესი. ჩვენ ვხედავთ: ახალ ტიპის სკოლებს, ახალ სახელმძღვანელოებს, მასწავლებელთა რიცხვის გამოავლენას და სხვა მრავალ ფაქტებს, რომელიც მარტყნებელია იმისა, რომ სახალხო განათლების საკითხი სულ მალე იქნება მოგვარებული მიზანშეწონილად. სულ მალე მეთქი, ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ ითქმის ეს საკითხი დამაკმაყოფილებლად იყოს გადაჭრილი. არა, მდგომარეობა ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოგვარებული.

უპირველესად შევეხებით მასწავლებელთა მდგომარეობას, რადგან ისინია ქვეკუთხედნი განათლების სფეროში. მათი ჯამაგარები ისეთი მცირეა, რომ შეუძლებელია ცოლმედილის პატრონი კაცი იმით აცხოვროს, და თან მისი დროზე მიუღერობა, რაც მამე პირობებში აყენებს განათლების საქმეში მოღვაწეებს და რასაკვირველია რესპუბლიკაში მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა პედაგოგიურ მომზადების მხრივ სასურველ სიმაღლეზე უნდა იყოს დაყენებული, რაც ეს ვერაჯერობით, მე მგონია არ არის მოგვარებული ისე, როგორც უკვე ვანზარბულისა.

შევეხებით მოწაფეებს, ისინი ძალიან შევიწროვებას განიცდიან, რადგან ზეგრძან არ არის სახელმძღვანელოები, თუცა სახელმძღვანელო წიგნები ბევრი გამოიცა, მაგრამ საშინელო გაძვირებით ხელმეწოდებელი გახდა ლარბ მოწაფეთათვის.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს სოფლის 4 წლები და 7 წლები, სადაც ყველა სოფელს, ღარიბთა შვილებს უნდა იყოს, მაგრამ ეს აჯ არ არის, სიტყვულ და წიგნების საგარეობლად გაძვირებამ, უმრავლესობა ღარიბ ღატაკთა შვილები უსწავლელნი რჩებიან, რაც არ უნდა ხდებოდეს თანაეროვე ხანაში, მაგრამ შექმნილი პირობები ხელს ვერ უწყობს ამ მნიშვნელოვან საქმეს.

არც ერთი ბავში სკოლის გარეშე არ უნდა დარჩეს, არც ერთი წერაკითხვის უცოდინარი აი ახალი ლოზუნგი, რომლის საშუალებით უნდა მივალწით ჩვენ საერთო მიზანს. მაგრამ ჯერჯერობით არა ვართ ამის განხორციელებასთან და წერაკითხვის უცოდინარი სამწუხაროდ, კვლავ მრავალი რჩებიან. უეჭვოა, ეს ახლო ხანში გამოსწორდება საბჭოთა ხელისუფლების წყალობით.

აქვე მინდა შევეხო პირველ ოთხწლელს, ქართულ ენის სახელმძღვანელოებს. პირველი წელი ე. ი. საბავშო ბავი და მისი მასწავლებელი ძალიან უნუგეზო მდგომარეობაშია, ამ წლისათვის ჯერჯერობით სახელმძღვანელოს არ ვხედავთ და ხშირად უხდება მასწავლებელს ყოყმანი იმაზე თუ რომელი ლექსი ან საგანი შეასწავლოს ბავშვს და ვინ იცის, ეგებ ისეთ საგნებზედაც გამოვსაუბროს, რომ არც კი შეეფერებოდეს ამ ჰასაკის ბავშვს.

გაეცანო აგრეთვე მეორე წლის ახალ სახელმძღვანელოს „ჩვენი სკოლა“-ს რომელიც შედგენილია, თ. კიკვიძის, გ. ქუმბურდიის და ფ. მეგლაძის მიერ, რომელზედაც აწერია: „შრომის სკოლის მეორე განყოფილებისათვის“ რამდენადაც სხენებული წიგნი ვაგარჩე იგი არ მიმინია დამაკმაყოფილებლად, მისი მასალები ისევე ძველი ენითა და სტილითა დაწერილი, სულ რამოდენიმე ორიოდ ლექსი — მოთხრობისა და გადმოკეთებულ გადმოთარგმნილი უცხო მასალები მე მგონია ვერავითარი სასიამოვნოა ახალი სკოლისათვის. მისთან უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვიცით ახალი პედაგოგია, მისი კარნახი: ადვილიდან ძნელზე, მახლობლიდან შორებულზე, თანდათანობით სწავლა, ჰასაკის შესაფერი მასალები და სხვა. ეს კი სხენებულ წიგნში ნაკლებად არის დაცული, იქ ჩვენ შევხვდებით პირველად ძნელს და ბოლოსაც ადვილ მასალას, რის გამო მასწავლებელს უხდება მისი პროგრამის ახალ-ახალი გადაწყვეტა.

აქვე უნდა მოვისხვიო კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც შარშან უმრავლეს სკოლებში იხმარებოდა „მნათობი“ მთავარიწილის, ოცბელის და ოცერმდის გამოცემა ქუთაისში, ეს წიგნი სხენებულ „ჩვენ სკოლას“ სჯობს თუმცა „მნათობშიც“ მასალები რაღაც დომნასლივით არეულია მაგრამ მინც ამ ჰასაკისთვის შესაფერი მასალებითაა სავსე.

„ღელა-ენა“ 2 ნაწ. ი. გოგებაშვილისა; რომელიც მესამე წელში იხმარება ვერავითარი ხალისის აღმძვროლი არ არის. ეს წიგნი უკვე მოძველდა. მან საკმაო სამსახური გაუწია ქართულ სკოლებს თავის გამოცემის დღიდან და უკვე დროა იგი ისტორიამ ჩაიბაროს და მის ნაცვლად გამოიცეს ახალი ენით და სტილით, ახალი გადახალისებული, ამავე წლის ჰასაკათთვის შესაფერი და რიგზე დათავებული მასალებით აღსავსე წიგნი.

აქვე უნდა მოვისხვიო ის, რომ რაღაც გაუგებრობამ შემიპყრო სხენებული წიგნების განხილვის დროს. რადგან „ჩვენი სკოლა“ არის მესამე ნაწილი, როგორც მისი ზემო წარწერა აოწმობს და უნდა იყოს შრომის სკოლის მე 2 განყოფილებისათვის და არა ანბანის შემდეგ საკითხავი, ეს როგორც წიგნის მასალებიდან სჩანს. ჩვენში კი (იგულისხმებო უნდა დის მარა) ანბანის შემდეგ ეს წიგნი შემოიღეს, რაც ჩემის ფიქრით არ არის დასაშვები.

ვაზეთი კომუნისტის № 260 ლ. რანძე ათავსებს ბიბლიოგრაფიის, „ჩვენი სკოლის“ 1 და 2-ე ნაწილის შედგენის შესახებ, გ. ქუმბურდიის, ფ. მეგლაძის, ი. გოგებაშვილის და თ. კიკვიძის მიერ სადაც იგი მშვენივრად ახასიათებს და ქებით ახსენებს ამ ორ წიგნს, რის შემდეგ ვრწმუნდები ჩვენი მზარის განათლ. განყოფილების შეცდომაში, შეგვლაში, რადგან ეს ზემოდ მოხსენებული 3-ე ნაწილი შემოიღეს ანბანის შემდეგ.

მე მგონია, რომ საბავშო ბავის შემდეგ უნდა იწყებოდეს პირველი ჯგუფი, შემდეგ მეორე და ასე შემდეგ. აქ კი გაუგებრობაა, სხენებული წიგნზე აწერია: „შრომის სკოლის მე 2 ე განყ. სრული უკრისა“. და ამ მეორე განყოფილებად აქ საბავშო ბავის შემდეგ, ე. ი. პირველ ჯგუფში ჩათვალა და ეს მეამე ნაწილი „ჩვენი სკოლა“ მიაწოდეს პაწაწა ბავშვებს. საჭიროა მისი გამოსწორება.

მე-4 ე წლისათვის „თავიჯული“ ქუმბურდიისა კარგია, მაგრამ კიდევ არ ითქმის, რომ ის სრულებით დამაკმაყოფილებელი იყოს შესაფერი მასალებით და პედაგოგიური, საყმაწვილო ლიტერატურის მხრივ: ვიმედოვნებთ, ჩვენი მოწინავე პედაგოგები არ დაიბურნებენ თავიანთ ენერჯიას და გულმოდგინედ, შეუდგებიან ზემოხსენებული ნაკლების გამოსწორებას და მომავლისათვის რასაკვირველია სრულიად უნაკლებო, მიზანშეწონილი, სასურველ ნიადაგზე დაყენებული ჩვენი სკოლა და მისთან ნივთიერად გაუმჯობესებული მასწავლებლობა სათანადო ანგარიშს გაუწევს საქართველოს მშრომელ მასას.

გარდა ამისა რატომ ჩვენი მოწინავე და მცოდნე პედაგოგები არ ცდილობენ, რომ სოფლის მასწავლებლის ხელმისაწვდომად გამოიცეს ქართულ ენაზე სხვა და სხვა ადგილ პედაგოგების ნარკვევებზე უფლებანი. ეს როგორც არის, ფრებელი, მონტესორი, ბლონსკი, ლაი, პესტალოცკი და სხვა ბევრი ამისთანები?

სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა არაა სახარბიელო იმით რომ, მასწავლებლობის ნაწილი ჩამორჩენილია ახალ ლიტერატურას, ყურნალ-გაზეთებს და სხვა ასეთ კულტურულ საქმეებს.

არც ერთი სახალხო მასწავლებელი არ ვიცი ისეთი, რომ გაზეთი ჰქონდეს გამოწერილი და ამით იგი თვალყურს ადევნებდეს საერთო პოლიტიკურს თუ ლიტერატურულს მიმდინარეობას. აქ კი ვინ არის დამნაშავე თუ არა ის მასწავლებელი რომელიც მისცემია სალათას ძილს და სრულებით არ იცის, თუ რა ამბები ხდება მის გარემო-აზიაში თუ ვერობაში. ეს არ შეეგნის კულტურულ მომუ-

ხილვისებუ

სახალხო სახლი. დღეს, ნოემბრის 23-ს, წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ „სტუმარ მასპინძლობა“ მხიარული კომედია 4 მოქმედებად ტ. რამიშვილისა. მონაწილეობას იღებენ დასის საუკეთესო ძალები, დადგმა რეჟისორ ი. ბარველისა.

სახალხო სახლი. დღეს სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ტ. რამიშვილის 3 მოქ. პიესა „სტუმარ მასპინძლობა“ რეჟისორი: ი. ბარველი.

სახელმწიფო ოპერა, დღეს ოპერის თეატრში „მეფის საცოლ“.

რუსთველის თეატრი შაბათს 24 ნოემბერს პროფკავშირის წევრებისათვის „ცხვრის წყარო“ დადგმა კ. მარჯანიშვილისა.

ალეხანოვის თეატრი. შაბათს, 24 ნოემბერს რკინის გზის სამმართველოსთან არსებულ რუსულ დრამატულ დასის მიერ არსებულ რუსულ დრამატულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „ლოქ“ დრამა 3 მოქ.

ალეხანოვის თეატრი. შაბათს ქართულ დრამატულ დასის მიერ ლუნაჩარსკის „მეფის დალაქი“.

ოპერა პროფკავშირის წევრებისათვის. შაბათს, 24 ნოემბერს პროფკავშირთა წევრებისათვის წარმოდგენილი იქნება ოპერა „ფრან-დიავოლი“.

— კვირას მეორედ წარმოდგენილი იქნება უნიადგონი. 4 მოქ. შალიკაშვილისა, დადგმა ი. ბარველისა.

სახალხო წარმოდგენების 30 წლის იუბილე მომწიფობ, კომიტეტის დადგენილებით, იუბილელი დღეს სათეატრო დარბაზში მოეწყობა „პავლიონის“ სადაც გამოდგენილი იქნება 1. ძელი აფიშები. 2 პროგრამები. 3 მსახიობნი სკოლებში. 4. პიესების სცენები, ფოტოგრაფიული სურათები. 5. რეცენზიები და სხვა სათეატრო საისტორიო მასალები.

სახელმწიფო ოპერა. დღეს, 23 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ „მეფის სასალო“ ოპერა 4 მოქმ. მუსიკა რიგ სკი-კარსკოვისა. ოპერას დასდგამს რეჟისორი რა. პოპორტი, დეკორაციები მხატვარ ტაბრუჩისა. ბალეტს ხელმძღვანელობს, მოცეკვავე დისკოვსკი.

თურქული დრამა. დღეს, 23 ნოემბერს რუსთველის თეატრში თურქული აკადემიური დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება „მიცვალებულნი“, კომედია 4 მოქმედებით ვ. ჯალილ-ისა. რ. ქისირობს სახელმწიფო თეატრების საპატიო მსახიობი ი. ტუგანოვი.

შავს და მეტადრე სოფლის მასწავლებელს. კულტურული მომუშავე მასწავლებელი ერთ კი არ ცხოვრობს, რომ ბავშვებს „სამი მეგობი“ გააზნებინოს და მერმე მინც უნდა შეეცდოს, ანაწილად მუდამ ხალხში უნდა ტრიალიდეს. ყოველგვარ სწავლად საჭმეებში იღებენ მონაწილეობას. ქართულ-გაზეთებით ხელში ადევნებდეს თვალყურს ყოველგვარ სახალხო მიმდინარეობას, ამით განათლების შექაა ფენდეს ბნელ მასაში და ხალხს ახალისებდეს კულტურულ პროგრესში.

დაესქენ, რომ დიდი მნიშვნელოვანი და საჭიროა გამოიცეს ერთ-ერთი პედაგოგიური ორგანო, ყურნალის სახით იქნება. ის თუ გაზეთის, თეატრის, კვირეულთ თუ დღიური, ეს სულ ერთია როგორც ინებებენ, რასაც პედაგოგიურ სფეროში ნაყოფის მოტანა შეუძლიან. იმედია მასწავლებელთა საგარეობით რაოდენობა გამოსტყვამს ამის გარემო“ თავიანთ აზრს.

სოლო ცაიშელი.

ცირკში. გასტროლები ცნობილ მოსკოველ იუმორისტ-სატირიკოს-ხუმარა ვიტალი ლაზარენკოსი.

კინო თეატრები. ორშაბათობით კინოები იმუშავებენ უმუშევართა დასახმარებლად თვეში ერთხელ, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდება უმუშევართა დამხმარე ფონდის გასამდიერებლად.

ახალი კინო სურათი. 21 ნოემბერს სახელმწიფო კინო ტრესტის დასი გაეგზავრა ფსანაურში ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „მამის მკვლელი“-ს გადასაღებათ. სურათის გადაღება გაგრძელდება 2 კვირას.

წარმოდგენა პროფკავშირებისთვის. შაბათს, 24 ნოემბერს, რუსთველის თეატრში პროფკავშირებისთვის წარმოდგენილი იქნება „ცხვრის წყარო“ ლოპე-დე ვეგასი, თარგმანი კ. მარჯანიშვილისა. დადგმა კ. მარჯანიშვილისა, მუსიკა თ. ვახტანგიშვილისა, დეკორაციები მხატვარი ვ. სილომონ ერისთავისა, ხორო, მუსიკა, ბალეტი.

კვირას წარმოდგენილი იქნება მესამედ განახლების შემდეგ ზ. ანტონოვის ცნობილი კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“ 3 მოქმედებად დადგმა კ. მარჯანიშვილისა. დეკორაციები მხატვარ ვ. სილომონ ერისთავისა.

„შეგერვადა“. ბალეტმეისტერი მ. დისკოვსკი ამზადებს დასადგმელად სახელმწიფო ოპერაში რიხსკი-კორსაკოვის ცნობილ ბალეტს „შეგერვადა“-ს.

პროფკავშირში. საგარეჯოში შესდგა დრამატული წრე, ზამთრის სეზონში წარმოდგენების კასამართავდ. პირველი წარმოდგენა გაიმართება 21 ნოემბერს

სოხუმი. ქართული დრამის სეზონი გაიხსნება 1 ლ დეკემბერს სახიობი ი. ეივიძის რეჟისორობით.

მცხეთა. მცხეთაში გაიხსნა კლუბი — თეატრი ან. კუჩიშვილის სახელობაზე. ამასთანავე გახსნა საკითხველო ს. გეგეჭკორის სახელობისა. გახსნას სადღესასწაულო ხასიათი ჰქონდა.

ერევანი. სომხური სახელმწიფო აკადემიურ დასის მიერ ერევანში დიდის წარმატებით წარმოდგინეს მოლიერის ცნობილი კომედია „ექვთ ავადმყოფი“ და გოგოლის „რევიზორი“. პიესებზე დასდგა სავანგებოთ ტვილისიდან მოწვეულმა ცნობილმა რეჟისორმა ბუზჯალოვმა. საზოგადოებას ძრიელ მოეწონა რეჟისორის დადგმები.

ოქტატორი — საოქტატო კოლეგია. გამომცემელი — მთავარი კომიტეტი.

გეგვლითი სიჯყვის ემსკედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულების და ორგან ზაციების საყურადღებოთ, რომ

მოსკოვის ჟურნალ-გაზეთი

ხელის მოწერა დეკემბრის თვისათვის იწყება ამა ნოემბრის 20-დან და გრძელდება ნოემბრის 29-მდე, რის შემდეგ შეწყვეტილი იქნება ხელის მოწერის მიღება.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ექსპედიცია, წინდაწინვე აცხადებს რა ზემოთ აღნიშნულს, სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომ წინდაწინვე მოაწერონ ხელი დეკემბრისთვის, რადგან დანიშნულ ვადის შემდეგ ექსპედიცია ხელის მოწერას არ მიიღებს.

გეგვლითი სიტყვის ექსპედიციის გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.